საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო

მუზეუმი - ხელოვნების სასახლე

ანგარიში
2019

თბილისი 0112,
ია კარგარეთელის ქ. #6

გამოფენები

20 თებერვალს, ხელოვნების **სასახლეში ბაკურ ბაკურაძის** პირველი პეროსნალური **გამოფენა** გაიხსნა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ხელოვანის მიერ ბოლო პერიოდში შექმნილი 30-მდე გრაფიკული და ფერწერული ნამუშევარი. გამოფენა ხელოვნების სასახლეში 28 თებერვლამდე გაგრძელდება.





14 მარტს, 18:00 საათზე, ხელოვნების სასახლეში მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი რეჟისორის, სცენარისტის, მსახიობისა და მწერლის - **ანდრეი ტარკოვკის** უკანასკნელი ფილმის **"მსხვერპლშეწირვა" ფოტო გამოფენა** გაიხსნა. "მსხვერპლშეწირვა" უკანასკნელი ნამუშევარია, რომელიც რეჟისორმა 1986 წელს, შვედეთში გადაიღო.

1 აპრილს, ხელოვნების სასახლეში ახალგაზრდა ქართველი მხატვრის **ნიკოლოზ კოჭლამაზიშვილის** ექსპოზიცია სახელწოდებით **"ჩრდილების თეატრი"** გაიხსნა. უნიკალურმა ექსპონატებმა და კედელზე ასახულმა მათმა ორეულებმა კოჭლამაზიშვილის ხელოვნების ნიმუშები სულ სხვა განწყობითა და მასშტაბით წარმოადგენა.

4-21 მაისს, Institut Français de Géorgie-სა და შემოქმედებითი საქართველო / Creative Georgia-ს მხარდაჭერით, „ქოლგა თბილისი ფოტოს“ ფარგლებში, ხელოვნების სასახლეში მარკ რიბუს ფოტოგამოფენა "თანამგრძნობი თვალი“ გაიხსნა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ხელოვანის მიერ 50 წლის მანძილზე შექმნილი ნამუშევრები.

26 მაისს საქართველოს ხელოვნების სასახლემ ქალაქ ზუგდიდში მოაწყო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე იყო წარმოდგენილი ქართული ანბანისადმი მიძღვნილი დიდი ექსპოზიცია

27 მაისს, ხელოვნების სასახლეში გრაფიკოსის, პლაკატისტის, ფერმწერისა, თეატრისა და კინოს მხატვარის **თენგიზ ქართველიშვილის აფიშებისა და პლაკატების გამოფენა** გაიხსნა.

1970-იანი წლების ქართული ფერწერის თავისებურებებს ამ პერიოდის ხელოვანთა შემოქმედება ასახავს, მათ შორის თენგიზ ქართველიშვილი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ქართული კულტურის მიმდინარე პროცესებს, მხატვრულ აზროვნებაში მომხდარ ცვლილებებსა და სტილისტურ მრავალფეროვნებას. გამოფენაზე წარმოდგენილი სრული შემოქმედმა ხელოვნების სასახლეს საჩუქრად გადასცა.

10 ივნისიდან - 20 ივნისამდე ხელოვნების სასახლეში მე-20 საუკუნის გამოჩენილი მხატვრის, ომარ დურმიშიძის ცნობილი ნახატების გამოფენა მოეწყო.

1974-2009 წლებში მოეწყო მხატვრის პერსონალური გამოფენები თბილისში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მოსკოვში და იტალიაში; მიღებული აქვს მონაწილეობა ქართული სახვითი ხელოვნებისადმი მიძღვნილ რეტროსპექტიულ გამოფენაში.

16-18 ივნისს, იტალიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამდღიანი ღონისძიება გაიმართა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, კინოს ეროვნული ცენტრის და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ხელშეწყობით, გამოფენა „იტალიური ნეორეალიზმი ქართულ კინოში“ გაიმართა. ექსპოზიცია ნეორეალიზმის გავლენით შექმნილი სამი მხატვრული ფილმის „მაგდანას ლურჯას“, „სხვისი შვილებისა“ და „ჩვენი ეზოს“ აფიშებსა და კინო კადრებს სთავაზობდა. დამთვალიერებელს ასევე საშუალება ჰქონდა ეხილა ფედერიკო ფელინის თენგიზ აბულაძისადმი გაგზავნილი წერილები და მათი ერთობლივი ფოტო.

25 ივნისს, ხელოვნების სასახლეში **ლანა ბენდუქიძის** პერსონალური გამოფენა **"იმპრესიონიზმი ძაფებში"** გაიხსნა

.ქართველი ხელოვანის მიერ შემუშავებული მხატვრული ხერხის საფუძველი დივიზიონისტურ პასაჟებზეა აგებული. თუმცა, წერტილოვანი სეგმენტები არა საღებავით, არამედ ფერადი ძაფებით იქმნება. ოპტიკური ეფექტის მისაღებად, მილიმეტრებად დაჭრილი ასობით ფერის ძაფი და ე. წ. ძაფის მტვერი გამოიყენება. წერტილოვანი დეტალიზაციით, ტონებისა და ნახევარტონების გრადაციით აგებული ფერადოვანი გამა ჰარმონიულად გამოჰყოფს დომინანტ ფერებს, ქმნის ხასიათს, ფაქტურას, აცოცხლებს თემას.

5 ივლისს, ხელოვნების სასახლეში თანამედროვე ხელოვანის, **ეკა ხუნწარიას** გამოფენა, სახელწოდებით **"აბრეშუმის ოთახი"** გაიხსნა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ხელოვანისეული ფერებისა და კომპოზიციის შეგრძნებით შექმნილი ბოლო ერთი წლის მანძილზე შექმნილი ნამუშევრები. ხელოვანის ხატავს მხოლოდ ბუნებრივ აბრეშუმზე და იყენებს პროფესიონალურ ტექსტილის საღებავებს; მათ შორის პარაფინსა და თაფლის სანთელს.



8 სექტემბერს ხელოვნების სასახლეში გამოფენა – „ფლორენსკების მომავლის ფერები“ გაიხსნა. კერძო კოლექციაში დაცული დები ფლორენსკების მიერ შექმნილი ნამუშევრები ფართო საზოგადოების წინაშე პირველად იქნა წარმოდგენილი. გამოფენასთან ერთად, ღონისძიებაზე გაიმართა ორენოვანი კატალოგის პრეზენტაციაც, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა.

27 სექტემბერს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, ხელოვნების სასახლეში გამოფენა სახელწოდებით „ანბანთქება“ (ქართული კალიგრაფიის თანამედროვე მიღწევები) გაიხსნა. ექსპოზიციაზე გაერთიანებული იყო ორი ქართველი კალიგრაფის ოთარ მეგრელიძისა და გიორგი სისაურის შემოქმედება.

4 ოქტომბერს, 18:00 საათზე, ხელოვნების სასახლეში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით, გერმანელი მხატვრის, მოგზაურისა და მკვლევარის ვერნერ რუდიგერის მიერ მეოცე საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოსა და ისტორიულ ტაო-კლარჯეთში გადაღებული ფოტოების გამოფენა გაიხსნა.
ექსპოზიცია მრავალმხრივ იყო საინტერესო, რადგან ფოტოებზე აღბეჭდილი ბევრი ქართული ისტორიული ძეგლი, დღეს უკვე სახეცვლილია ან საერთოდ აღარ არსებობს. გამოფენის ფარგლებში, მოეწყო „ვერნერ რუდიგერის ფოტოდღიური“ - ორენოვანი (ქართული/გერმანული) კატალოგის პრეზენტაციაც.



28 ოქტომბერს, ხელოვნების სასახლეში საქართველოს პირველი პრეზიდენტის (1991-1992), ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის (1973-1990), მთარგმნელის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის და საქართველოს ეროვნული გმირის - ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ხელოვნების სასახლეში დაცული ვიდეო, აუდიო და საარქივო დოკუმენტები, რომლებმაც ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ფართო საზოგადოებას ბევრ საინტერესო და აქამდე უცნობ ისტორია გააცნო. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა გამოფენის კატალოგის პრეზენტაციაც, რომელიც პრეზიდენტ გამსახურდიას დაბადებიდან 80 წელს მიეძღვნა და რომელიც გამსახურდიას პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობის ამსახველ მნიშვნელოვან ფაქტებთან ერთად, 1992 წლის 3 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით, საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის მომხრეთა მასობრივი დარბევის იშვიათი კადრებს აერთიანებს.

15 ნოემბერს, ხელოვნების სასახლში, თბილისის მერიის მხარდაჭერით, გამოფენა „ვეფხვაძეები - მხატვართა ოთხი თაობა“ გაიხსნა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ვეფხვაძეების მხატვართა დინასტიის ოთხი თაობის - ივანე ვეფხვაძის (1888-1971), ალექსი ვეფხვაძის (1921-1982), ჯოვანი ვეფხვაძისა (1949-2016) და ბრუნო ვეფხვაძის მიერ შესრულებული ფერწერული ნამუშევრები - პორტრეტები, პეიზაჟები, ისტორიული სიუჟეტები და სხვა. გამოფენის ფარგლებში გაიმართა ორენოვანი კატალოგის პრეზენტაციაც, რომელიც მხატვართა ოთხივე თაობის შემოქმედებას აერთიანებს და რომელიც თბილისის მერიის მხარდაჭერით, ხელოვნების სასახლის მიერ გამოიცა.

11 დეკემბერს, ხელოვნების სასახლში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ფართომასშტაბიანი პროექტის „ქსოვილი საქართველოდან“ ფარგლებში, წიგნის - „ქართველთა თავსაბურავი“ პრეზენტაციასთან ერთად თინათინ კლდიაშვილისა და ეკატერინე გეგუჩაძის მიერ, ისტორიული ფრესკების მიხედვით აღდგენილ ქსოვილებსა და უნიკალური ქართული სარიტუალო გვირგვინის გამოფენა გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ ისტორიულ გვირგვინს საქართველოს ბანკის მხარდაჭერით 6 თვის მანძილზე ჩატარებული აღდგენით სამუშაოების ჩატარების შედეგად თავდაპირველი იერსახე დაუბრუნდა და მას უწინდებურად ამშვენებს 48 ბრილიანტი, 1 დიდი ოქროსფერი სამეფო ტოპაზი, 7 ზურმუხტი, 48 ძოწი, 19 ჟადეიტი, 12 ფირუზი, 8 ციტრინი და 12 მთის ბროლი.

24 დეკემბერს, ხელოვნების სასახლეში ნანა ყაულაშვილის საახალწლო გამოფენა თოჯინები გაიხსნა.



ღონისძიებები

13 მარტს, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერიტეტში გაიმართა სამეცნიერო პროექტის პრეზენტაცია - **„უცნობი ინგლისური ისტორიული წყაროები საქართველოს შესახებ“.** ორწლიანი პროექტი ევროპის უდიდეს წიგნთსაცავებსა და არქივებში ჩვენი ქვეყნის შესახებ ნაკლებად ცნობილი, ან დღემდე ჯერ კიდევ შეუსწავლელი დოკუმენტების გამოქვეყნებასა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას ისახავს მიზნად. ფონდის თანადგომით ირლანდიის ეროვნული არქივიდან უკვე ჩამოტანილია **ინგლისის მეფეთა კანცელარიის** ის დოკუმენტები, რომლებიც საქართველოს ეხება. შეიქმნა იმ ძვირფასი ხელნაწერებისა და მინიატურების ციფრული ბაზა, რომელიც შუა საუკუნეების ევროპაში კოლხეთის ისტორიასა და მასთან დაკავშირებულ მითოლოგიურ სიუჟეტებს ასახავს. უახლოეს მომავალში საქართველოში ასევე ჩამოვა XVI-XVII საუკუნეების უცნობი თეატრალური პიესები, რომლებიც ქართლ-კახეთის მონარქთა თავგადასავალს გვიყვება. 500-ზე მეტი ძვირფასი დოკუმენტი ხელოვნების სასახლის მეცნიერთა ჯგუფის მიერ ითარგმნება, ქრონოლოგიურად დახარისხდება და წიგნად გამოიცემა. პროექტის ფარგლებში საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდება საჯარო ლექციებიც.



2019 წლის 30 აპრილს, საქართველოს მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ დადგენილება #213-ის პირველი მუხლის, მე-2 ქვეპუნკტის თანახმად საქართველოს ხელოვნების სასახლეს შეუერთდა სსიპ ხახლური და გამოყენებითი ხელოვნებისა და ქართული ხალხური სიმღერის და საკრავების სახელმწიფო მუზეუმები. 21 მარტს, აღნიშნული მუზეუმების თანამშრომლები ხელოვნების სასახლეს ეწვივნენ, დაათვალიერეს სასახლეში დაცული ეროვნული საგანძური, გაეცვნენ მუზეუმის სამუშაო სტრუქტურას და ისაუბრეს მომავალში განსახორციელებელ ერთობლივ გეგმებზე.

1 მაისს, ხელოვნების სასახლეში **„ევროპული ხელოვნება და საქართველო“**კატალოგის პრეზენტაცია გაიმართა. მაღალი პოლიგრაფიული დონით გამოირჩეული, ორენოვანი ნაშრომი ოთხ ძირითად ნაწილად იყოფა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში დაცულ ევროპული ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშებს აერთიანებს. აღსანიშანვია, რომ წიგნის ტექსტუალური და ვიზუალური მასალიდან გამომდინარე მსგავსი ხასიათის კატალოგი საქართველოში პირველად გამოიცა და მისი საშუალებით მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა საქართველოს მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში დაცული მსოფლიო დონის ხელოვანთა ნამუშევრები აღმოაჩინოს.

15 მაისს, ხელოვნების სასახლეში მოქანდაკის, გრაფიკოსისა და ხაატმწერის - **მარინა ივანიშვილის კატალოგის პრეზენტაცია** გაიმართა. ალბომი მეტ-ნაკლები სისრულით ასახავს მარინა ივანიშვილის

შემოქმედებით გზას, გზას რომელსაც სიტყვები არ სჭირდება. მარინა ივანიშვილმა 1970-1976 წლებში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია – სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი. მას ჰქონდა 22-მდე ჯგუფური და 3 პერსონალური გამოფენა...



18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ხელოვნების სასახლის „უკვდავთა ბაღში“, საღამო გაიხსნა სუხიშვილების ანსამბლის მიერ შესარულებული ცეკვით - ლაზური, რის შემდეგაც მუზეუმის დირექტორმა გიორგი კალანდიამ საზეიმოდ გახსნა გამოფენა „ქართული ეროვნული სამოსი - ისტორია და თანამედროვეობა“.
20:00 საათზე ხელოვნების სასახლის წითელ ხალიჩაზე ქართველმა დრამერებმა წარმოადგინეს დასარტყამი და სასულე საკრავების შოუ. პროექტის ფარგლებში „დიდი მხატვრების შედევრები“, პალიტრა მედიასა და ხელოვნების სასახლის ორგანიზებით, მუზეუმის „უკვდავთა ბაღში“ მოეწყო იტალიელი მხატვრის - ამადეო მოდილიანისადმი მიძღვნილი მხატვრული ფილიმის დიდ ეკრანზე ჩვენება. საღამო დასრულდა გრანდიოზული ფეიერვერკით.

28 მაისს, საქართველოს **პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა** და საქართველოს ხელოვნების სასახლის **დირექტორმა გიორგი კალანდიამ** ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის თანახმადაც **საქართველოს პრეზიდენტი პატრონაჟს უწევს საქართველოს ხელოვნების სასახლეს.** მემორანდუმის ფარგლებში პრეზიდენტის თანადგომა უმნიშვნელოვანესია მუზეუმში დაგეგმილი სარესტავრაციო, საგანმანათლებლო და საგამოფენო პროექტების თვალსაზრისით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის მიხეილ გიორგაძის განცხადების თანახმად, სახელმწიფოს პირველი პირების მიერ მუზეუმების პატრონაჟი ფართოდ გავრცელებული ტრადიციაა ევროპაში, და აღნიშნული

მემორანდუმის არსებობა ხელოვნების სასახლის საერთაშორისო ავტორიტეტის კიდევ უფრო გაზრდას შეუწყობს ხელს.

23 სექტემბერს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხელოვნების სასახლის დონორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მენეჯერმა მერი ხარაიშვილმა გამართა პრეზენტაცია, **ხელოვნების სასახლისა და მსოფლიოს უდიდესი კულტურული გაერთიანების Google Cultural Institute-ის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად განხორციელებულ საერთაშორისო პროექტზე - „ცდა მსოფლიოსთვის“ (Once Upon a Try),** რომელიც ქართველი ფერმწერის, გრაფიკოსის, თეატრისა და კინოს მხატვრის, ხელოვნების მკვლევარისა და გამომგონებლის, დავით კაკაბაძის სამეცნიერო მოღვაწეობას მიეძღვნა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, **მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, 26 სექტემბერს,** საქართველოს ფოლკლორის

სახელმწიფო ცენტრმა და ხელოვნების სასახლემ დავით ჯავრიშვილის 125 წლისთავისადმი მიძღვნილი ერთობლივი ღონისძიება გამართა.
ღონისძიების ფარგლებში გაიხსნა დავით ჯავრიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა - „მხატვრული ტანვარჯიშიდან ქორეოგრაფიულ ხელოვნებამდე“; დამსწრე საზოგადოებამ იხილა 1934 წლის სვანეთის ექსპედიციის დროს გადაღებული **კინოფილმი - ,,აცეკვებული სვანეთი“**; გაიმართა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ მომზადებული წიგნის - დავით ჯავრიშვილის სამეცნიერო შრომების კრებულის - **,,ქართული ხალხური ცეკვის“ პრეზენტაცია.**

22-23 ოქტომბერს ხელოვნების სასახლემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით გამართულ აბრეშუმის ფორუმში და წარმოადგინა გამოფენა **„ტექსტილი საქართველოდან“.** გამოფენის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ხელოვნების სასახლეში შემნილი სამუზეუმო ასლები

3 დეკემბერს, საქართველოს ხელოვნების სასახლში, დიდი ქართველი მხატვრისა და სცენოგრაფის, „ფერთა სიმფონიის დიდოსტატად“ აღიარებულ **სოლიკო ვირსალაძის** შემოქმედების ამსახველი ორენოვანი **კატალოგის პრეზენტაცია გაიმართა.** სასახლის თეთრი ნიმფების დარბაზში, კატალოგის პრეზენტაციასთან ერთად, ფართო საზოგადოებისათვის საგანგებოდ გამოიფინა მუზეუმის გამოყენებით ხელოვნების ნიმუშთა ფონდში დაცული, სოლიკო ვირსალაძის მიერ შექმნილი ეროვნული კოსტიუმები. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელ საქართველოში აქამდე არ არსებობდა სოლიკო ვირსალაძის შემოქმედების ამსახველი სრულფასოვანი კატალოგი.



ხელოვნების სასახლე საერთაშორისო არენაზე

ხელოვნების სასახლის და Google-ს მორიგი ერთობლივი პროექტის ფარგლებში მსოფლიოს უდიდესმა აუდიტორიამ, ცნობილი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის სამეცნიერო მოღვაწეობა NASA-ს, CERN-ის და სხვა საერთაშორისო ინსტიტუციებისა თუ მეცნიერების მიღწევებთან ერთად გაიცნო. პროექტი რომელიც ნახევარი წლის განმავლობაში მზადდებოდა Google Cultural Institute-ს პლატფორმაზე 2019 წლის 6 მარტს განთავსდა და მსოფლიოს გამომგონებლებისადმი მიძღვნილი იმ დიდი გამოფენის ნაწილია რომელსაც „ცდა მსოფლიოსათვის„ ეწოდება.

აღსანიშნავია, რომ დავით კაკაბაძე პირველი და ერთადერთი ქართველი გამოგონებელია რომელსაც ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში დამთვალიერებელი ეცნობა. „დავით კაკაბაძე: ექსპერიმენტები ხელოვებასა და ტექნოლოგიაში“ (David Kakabadze: experiments with art and technology) და „მხატვრული მემკვიდრეობა“ (Artistic Legacy) ასე ეწოდება იმ ვირტუალურ გამოფენebs რომlebic ხელოვნების სასახლეში დაცული საარქივო მასალებისა და კოლექციების ბაზაზე მომზადდა.



2019 წლის 21-23 ნოემბერს ქალაქ პორტიმაოში (პორტუგალია) გაიმართა **ევროპის მუზეუმების ფორუმის ყოველწლიური პრემიის კონკურსის - „EMYA"-ს ჟიურის სხდომა, რომელზეც ევროპის წლის საუკეთესო მუზეუმის პრემიის ნომინანტთა შორის საქართველოს** თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმი - **ხელოვნების სასახლეც დასახელდა.**
EMYA-ს კონკურსის **გამარჯვებულების გამოვლენა** და დაჯილდოების ცერმონიალი გაიმართება **2020 წლის 2 მაისს** ევროპის მუზეუმების ფორუმის ყოველწლიურ კონფერენციაზე დიდი ბრიტანეთის ქალაქ კარდიფში, უელსის ეროვნულ მუზეუმში.

ევროპის მუზეუმების ფორუმი/European Museum Forum წარმოადგენს ევროპის კონტინენტის წამყვან სამუზეუმო ინსტიტუციას, რომელიც ხელს უწყობს ევროპის მუზეუმების განვითარებასა და პოპულარიზაციას სამუზეუმო საქმეში ინოვაციური მიდგომებისა და მუზეუმის პროფესიონალთა შორის საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მხარდაჭერით. EMYA (European Museum Year Award) - ევროპის წლის მუზეუმის პრემია 1977 წელს დაწესდა ევროპის საბჭოს ეგიდით და მიზნად ისახავს მოწინავე გამოცდილების გამოვლენას და აღიარებას ევროპის სამუზეუმო სივრცეში, ხელს უწყობს ევროპის მუზეუმებში დაცული კოლექციებისა და ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას და ზოგადად, ინოვაციური პროცესის განვითარებას სამუზეუმო სამყაროში.

სამეცნიერო პროექტები

ხელოვნების სასახლის პროექტმა **"უცნობი ინგლისური ისტორიული წყაროები საქართველოს შესახებ (ტიუდორების არქივი) და XVI-XIX საუკუნეების ინგლისურენოვანი ბეჭდური გამოცემები" შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსება მოიპოვა**. პროექტის ფარგლებში, 2 წლიანი მუშაობის შედეგად, სამეცნიერო ჯგუფის მიერ ითარგმნება და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩაეშვება უნიკალური წყაროებს რომელთა უმეტესობა ქართველი მეცნიერებისათვის უცნობია. მუზეუმი გამოსცემს ორენოვან (ქართული-ინგლისური) კრებულს სადაც შევა ჰენრი მერვის, ელისაბედ პირველის და სხვა ტიუდორების კანცელარიის საიდუმლო მასალები საქართველოს შესახებ.



ხელოვნების სასახლის დირექტორის - გიორგი კალანდიას ინიციატივითა და ორგანიზებით მუზეუმში კიდევ ერთი ახალი ისტორიული პროექტი სახელწოდებით "ქართველთა თავსაბურავი". ფრესკებიდან, მინიატურებიდან ჩვენი მხატვრის არტტემ ანტანოსის მიერ აღდგენილი და ქაღალდზე გადმოტანილი საოცარი ნიმუშები. მალე ამ ნახატებიდან რამდენიმეს ნამდვილ მოდელებად ვაქცევთ და ვნახავთ როგორ იბურავდნენ თავს ჩვენი დიდი წინაპრები

ვიზიტი

29 ოქტომბერს, ხელოვნების სასახლეს, საქართველოს პრემიერი გიორგი გახარია საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენის სანახავად ეწვია. პრემიერმა დაათვალიერა მუზეუმის, როგორც დროებითი ასევე მუდმივი საგამოფენო დარბაზები და იხილა საქართველოს მეფე განმანათლებლის თეიმურაზ მეორის პორტრეტი, რომელიც ფონდი „ქართუ“-ს მხარდაჭერით, ინგლისში გამართულ ერთ-ერთ ონლაინ აუქციონზე 2018 წელს იქნა შეძენილი.

პუბლიკაცია



ხელოვნების სასახლის ფართომასშტაბიანი პროექტის ფარგლებში 2019 წლის დეკემბრის თვეში, მუზეუმმა სერია **„თეატრისა და კინოს მხატვრების“ მე-7** ტომი გამოსცა. ორენოვანი კატალოგი დიდი ქართველი მხატვრისა და სცენოგრაფის, „ფერთა სიმფონიის დიდოსტატად“ აღიარებულ **სოლიკო ვირსალაძის** შემოქმედების ამსახველი ეძღვნება. უკვე გამოიცა იოსებ სუმბათაშვილის, ივანე ასკურავას, კარლო კუკულაძის, პეტრე ოცხელის, კოკა იგნატოვის და ნიკოლოზ ყაზბეგის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ალბომები. სულ დაგეგმილია 30 ტომის გამოცემა.

ხელოვნების სასახლემ საქართველოში მოღვაწე **ფლორენსკების** საგვარეულოს შემოქმედებისადმი მიძღვნილი **ორენოვანი კატალოგი** გამოსცა. დიდი ხელოვანები რომელთაც საქართველოში ჯერ კიდევ სათანადოდ არ იცნობენ ხატავდნენ პრერაფაელისტების და გოიას სტილში, ასევე გვიანი სიმბოლიზმის სულისკვეთებით. ნამუშევრების აბსოლიტური უმრავლესობა პირველად დაიბეჭდა, წიგნში ასევე შესულია ფლორენსკების შთამომავლების თეატრალური მხატვრის ოლღა კონიაშვილის ნამუშევრები. კატალოგი გამოიცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით.



გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით, გერმანელი მხატვრის, მოგზაურისა და მკვლევარის ვერნერ რუდიგერის მიერ მეოცე საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოსა და ისტორიულ ტაო-კლარჯეთში გადაღებული ფოტოების ორენოვანი (ქართული/გერმანული) კატალოგი სახელწოდებით „ვერნერ რუდიგერის ფოტოდღიური“ - გამოიცა.



თბილისის მერიის მხარდაჭერით, ხელოვნების სასახლის მიერ „ვეფხვაძეები - მხატვართა ოთხი თაობა“ გამოიცა. ორენოვანი კატალოგი მხატვართა დინასტიის ოთხი თაობის - ივანე ვეფხვაძის (1888-1971), ალექსი ვეფხვაძის (1921-1982), ჯოვანი ვეფხვაძისა (1949-2016) და ბრუნო ვეფხვაძის მიერ შესრულებულ ფერწერულ ნამუშევრებს - პორტრეტებს, პეიზაჟებს დ. ისტორიული სიუჟეტებს აერთიანებს.



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ფართომასშტაბიანი სამეცნიერო პროექტის ფარგლებში ხელოვნების სასახლემ გიორგი კალანდიას საავტორო წიგნი „ქართველთა თავსაბურავი“ გამოსცა.

500 გვერდიანი, ორენოვანი კატალოგი სამეცნიერო პროექტის ნაწილია და „ქსოვილი საქართველოდან“ გამოცემის მეორე ტომს წარმოადგენს. ენციკლოპედიურ ნაშრომში შესულია როგორც ხელოვნების სასახლის, ასევე ამავე სასახლის ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის კოლექციები, იგი 500-ზე მეტ მაღალი ხარისხის ილუსტრაციას მოიცავს და ადრეული შუა საუკუნეებიდან მე-19 საუკუნემდე ქართველთა ჩაცმულობის ისტორიაზე გვიყვება. წიგნს ერთვის ქართული გვირგვინების, ქუდების და ქსოვლის გრაფიკული ფორმების სამი ატლასი.



28 ოქტომბერს, ხელოვნების სასახლის დირექტორის გიორგი კალანდიას ორგანიზებით, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლისადმი მიძღვნილი კატალოგი გამოიცა, რომელიც გამსახურდიას პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობის ამსახველ მნიშვნელოვან ფაქტებთან ერთად, 1992 წლის 3 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით, საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის მომხრეთა მასობრივი დარბევის იშვიათი კადრებს აერთიანებს.

ტრადიციისამებრ, 2019 წელს, მუზეუმმა გამოსცა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიგო მუზეუმის ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა აღწერილობა (წიგნი IX)



შეძენილი და საჩუქრად გადმოცემული სამუზეუმო ექსპონატები

წლის განმავლობაში, ხელოვნების სასახლის უკლებლივ ყველა ფონდი გამდიდრდა შეძენილი თუ საჩუქრად გადმოცემული ექსპონატებით.

ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდში შემოსული არქივებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დ. ჯალაღონიას და მ. აბრამიშვილის, სიმონიკა დადიანის, ვიქტორ დოლიძისა და ალექსი ფარცხალაძის არქივები.

ფოტო ფონდს სულ დაემატა 617 ფოტო (597 საჩუქრის, ხოლო 20 შესყიდვის სახით)

ხელოვნების ნიმუშთა ფონდი გამდიდრდა 41 ექსპონატით, მათ შორის აღსანიშნავია უშანგი ჩხეიძის მემორიალური ნივთები, სერგო ქობულაძის პირადი ფუნჯი, რომლითაც მხატვარმა ოპერისა და ბალეტის ცნობილი ფარდა მოხატა.

გარდა აღნიშნულისა, მუზეუმმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ დილერთან უძველესი ქსოვილების უნიკალური კოლექცია შეიძინა. მათ შორის არის ა.წ. V-VII საუკუნეებით დათარიღებული კოპტური ქსოვილები და 3 კავკასიური კავკასიური ელეგი.

ბიბლიოთეკისა და რარიტეტულ გამოცემათა ფონდს დაემატა 1244 ერთეული, მათგან 1148 ერთეული შემოსულია კონტრიბუციის, 96 კი შენაძენის სახით.

აფიშების ფონდში დაცული კოლექცია გაიზარდა 302 ერთეულით.

მუსიკის ფონდს დაემატა 101 ერთეული, მათგან გამორჩეულად შეიძლება აღინიშნოს ალექსი ფარცხალაძის იაოფვები.

სახვითი ხელოვნების ფონდში 2019 წლის მანძილზე შემოვდა 94 ექსპონატი.
აქედან საჩუქრად გადმოცემულია 73, ხოლო შეძენილია 6 ექსპონატი. აღსანიშნავია მუზეუმის მიერ შეძენილი ნიკოლოზ ბარათაშვილის გრაფიკული პორტრეტი დემნა შენგელაიას კოლექციიდან. ვინაიდან პოეტის გამოსახულება დღემდე უცნობია საზოგადოებისათვის, ეს ჩანახატი გვიქმნის წარმოდგენას მისი გარეგნობის შესახებ. სურათი

ნაბადი ნაქარგი უბეებითა და ოქროთი

მოზარნიშებული შესაკრავით. მე-19 საუკუნის ბოლო მე-20 ს-ის დასაწყისი

ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთერთი ყველაზე ძველი და უნიკალური პორტრეტი ჯერ კიდევ 70–იანი წლების ბოლოს ხელთ ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს.

სარეაბილიტაციო/სარესტავრაციო სამუშაოები

2019 წელს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით **სარეაბილიტაციო სამუშაოები** ჩაუტარდა ხელოვნების სასახლის ისტორიულ ფლიგელში არსებულ ნულოვან სართულს, რომელიც ამ დროისათვის სრულყოფილად ადაპტირებულია პროექტის „ქსოვილი საქართველოდან“ ფარგლებში მოწყობილ მანუფაქტურაზე.

წლის განმავლობაში ხელოვნების სასახლის სარესტავრაციო ლაბორატორიაში სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა:

ხელნაწერები - 89 ერთეული

გრაფიკა - 113 ერთეული

ფერწერა - 5 ერთეული

აფიშა - 154 ერთეული

ხელნაწერი წიგნი 2 - ერთული

საგანმანათლებლო პროგრამები

წლის განმავლობაში ხელოვნების სასახლეში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამები. პროგრამის მონაწილეები მუზეუმის დარბაზების დათვალიერებასთან ერთად ისმენდნენ ლექციას კონკრეტულ თემაზე, რის შემდეგაც მონაწილეობას იღებდნენ სპეციალურად მათთვის მომზადებულ ვორქშოფებში. ხელოვნების სასახლის საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავდა შემდეგ თემებს :

- ✔ „ქართული ანიმაცია - ცოცხალი ფერების საიდუმლო“
- ✔ „მხატვარი და ქსოვილის საიდუმლო“
- ✔ „ქართული მინიატურა“
- ✔ „პატარების თვალით დანახული ექსპონატები“
- ✔ „აღდგომის ტრადიციები“
- ✔ „ბარათებით მილოცვის ტრადიცია“
- ✔ „ბერიკები ხელოვნების სასახლიდან“
- ✔ „ახალი წლის ტრადიციები“
- ✔ „ქართული ანბანის ისტორია“
- ✔ „რუკაზე ასახული საქართველო“
- ✔ „კუკნები - ქართული თოჯინის ისტორია“
- ✔ „ინდიელთა ჯადოსნური ტომები“

წლის მანძილზე მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა - 55 973
მათგან ინდივიდუალურ დამთვალიერებელთა რაოდენობაა - 22 896
საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მონაწრილეთა რაოდენობა - 33 077

გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა განისაზღვრა 143 200 ლარით.